

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N3

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

20.02.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: –ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, თამთა დვალიშვილი, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - გელა ჩიტორელიძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს დია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს./ნარგიზი ალფაიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

მომხს: /ზვიად კაპანაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე;

მომხს: /მამუკა ნამიჭიშვილი/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: /ნარგიზი ალფაიძე/

5. „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი-ში (ს/კ 229660168) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: /ნარგიზი ალფაიძე/

6.ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში არსებულ N15 ქუჩას და ამავე ქუჩის შესახვევსა და ჩიხებს (ერთი შესახვევე და ორი ჩიხი) 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონში სოფელ ავნევეში გმირულად დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

მომხს: /გელა ჩიკვაძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შედის როგორც დადგენილების სათაურში, ისე დადგენილების ტექსტში. კერძოდ, ყველგან ამოღებული იქნა მითითებული წლები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N9)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
მომხსენებელმა წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწის ნორმატიულ ფასები.
კერძოდ,

ა)ქალაქის ტერიტორიაზე	8,88 ლარი.
ბ)ვანის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე	4,00 ლარი.
გ)ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში	6,00 ლარი.
დ)დასახლებათა შორის არეალში	3,00 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“;

(დანართი: დადგენილება N10).

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ(მამუკა ნამიჭეიშვილის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წელს განსახორციელებლად შერჩეულ პროექტებს დაემატა თერთმეტი პროექტი თანხით 2,499,994 ლარი. ეს პროექტებია: 1.ქ.ვანში თავისუფლების ქუჩაზე მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. 2. ქ. ვანში ცენტრალური სტადიონის გარე პერიმეტრის, სარბენი ბილიკებისა და არხის რეაბილიტაცია. 3. ქ.ვანში თ. მეფის ქ. N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულის რეაბილიტაცია. 4. ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია. 5. გარე განათების მოწყობა შუამთა -ტობანიერი, შუამთა-ჭყვიში. 6. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. დიხაშხოში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 7. ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ დუცხუნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 8.ძულუხი-რომანეთის საავტომობილო გზის

რეაბილიტაცია. 9.რომანეთი-საპრასიის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 10. ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტოხვაძეები-მეურნეობის საუბნო გზის რეაბილიტაცია. 11. მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში კორძაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 დეკემბრის N27 69 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე;

(განკარგულება N 27 4)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საფეხბურთო სკოლა“ სასპორტო დაწესებულების გაერთიანებიდან გადადის „საფეხბურთო კლუბ სულორი-ვანი“-ში, ამ რეორგანიზაციის თაობაზე მუნიციპალისტიკის მერს ჭირდება საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“-ში (ს/კ 429651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

(განკარგულება N27 3)

მოისმინეს: დღის წერიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ში (ს/კ 229660168) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ს შეურთდა „საფეხბურთო სკოლა.“ ამ რეორგანიზაციაზე მუნიციპალიტეტის მერს ესაჭიროება საკრებულოს თანხმობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“-ში (ს/კ 229660168) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

(განკარგულება N27 2)

მოისმინეს: დღის წერიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში არსებულ N15 ქუჩას და ამავე ქუჩის შესახვევსა და ჩიხებს (ერთი შესახვევევი და ორი ჩიხი) 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონში სოფელ ავნევში გმირულად დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომზადებულია ყველა პროცედურული საკითხი და მზადაა გადაეგზავნოს „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვის და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიას.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე – 24

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში არსებულ N15 ქუჩას და ამავე ქუჩის შესახვევსა და ჩიხებს (ერთი შესახვევევი და ორი ჩიხი) 2008 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში ქარელის რაიონში სოფელ ავნევეში გმირულად დაღუპული შალვა ტრაპაიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

(განკარგულება N 27 5)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე